დამტკიცებულია შპს სკოლა-ლიცეუმი
ცისაკარის დირექტორის
2024 წლის 19 ივლისის N799 ბრძანებით

მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის

მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სკოლის მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი არის სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს.
2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი საკუთარ ფუნქციებს და ვალდებულებებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად და მის ფარგლებში;
3. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი მხარს უჭერს სკოლის ადმინისტრაციას და მუშაობს სკოლასთან შეთანხმებით, რათა ხელი შეუწყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდას;

მუხლი 2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციები

1. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის ძირითადი ფუნქციები:
   - 1.1. მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;
   - 1.2. მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
   - 1.3. მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების პროცესის ხელშეწყობა;
   - 1.4. მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და ხელშეწყობა;
   - 1.5. მოსწავლისათვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით დახმარება;
   - 1.6. მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
   - 1.7. მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა;
   - 1.8. მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდება;
   - 1.9. მოსწავლის სასკოლო ცხორვებაში ჩართულობის ხელშეწყობა;
   - 1.10. მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე მისი მხარდაჭერის მიზნით საჭიროებისამებრ, სხვა სახის ჩართულობა;

2. მოსწავლეთა მხარდაჭრის ჯგუფი საქმნიანობას ახორციელებს სკოლის სხვა სტუქტურულ ერთეულებბთან თანამშრომლობით.

მუხლი 3. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები

1. მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის წევრებს კომპეტენციიდან გამომდინარე არჩევს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანებით.
2. მოსწავლის მხარდაჭრის ჯგუფში უნდა შედიოდნენ:
   2.1. დირექტორის მოადგილე;
   2.2. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი;
   2.3. ექიმი;
   2.4. საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
   2.5. კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციის პირი;

მუხლი 4. მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრები

1. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს შეხვედრებს, რომელსაც ესწრებიან ჯგუფის წევრები. სკოლასთან და მოსწავლესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილულ იყოს, შეკითხვების დასმა და აზრის გამოთქმა თავისუფალია ყველასთვის. ასევე, განიხილება ჯგუფის მომავალი ღონისძიებები/აქტივობები და დგინდება ღონისძიების ჩატარებისთვის საჭიროებები;
2. ჯგუფის ყველა წევრი წახალისებულია დაესწროს და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ჯგუფის შეხვედრებში/სხდომებში.

მუხლი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა

1. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებას ამტკიცებს დირექტორი;
2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში ცვლილებების შეტანის ინიცირების უფლება აქვთ მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის წევრებს;
3. დებულების გაუქმება შესაძლებელია პირველ პუნქტში მითითებული წესით.